# ჩვენი გზა

№ 34

თფილისი

1907

სამშაბათი, 16 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა"-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა"-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза", Великокняжеская № 35.

№ 34 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 34



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობით ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза", Великокняжеская № 35.


გაზეთ „ჩვენი გზა"-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань" НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

თ. ესტატე ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე, შვილები: სოფიო და არჩილი, პოლკოვნიკი ივანე ქაიხოსროს-ძე ქავთარაძე, მისი შვილები, მარიამი, ნატალია, ელისაბედი, პავლე, პეტრე, სერგო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარ ცოლისას, მეორენი დედისას, მესამენი შვილისას და მეოთხენი დისას

### ქნ. ანნა ივანეს ასულის ნიჟარაძისას

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. გამოასვენებენ 16 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე და წაასვენებენ სოფ. მაღლაკში. თფილისის ქუჩ , სახლი ბერაძენისა. (1—ფ.—1)


—ექიმი—

### ივ. გომართელი

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

### ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი ყურის, ყელის და ცხვირისა იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

კბილის ექიმი

### სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

### УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—5) С. А. ГРЯЗНОВЪ.

### გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშვალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

### გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოაწავლე ქალვაჟთ ყველა საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

### იყიდება

მშვენივრათ მოწყობილი საწვრიმალო დუქანი. ადრესი: ავჭალის ქუჩა № 57 სახლი ტკაჩოვისა. 1—ფ—1

ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში

ოთხშაბათს 17 ოქტომბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ელენე ანდრონიკაშვილის სადებიუტოთ

I.

### დაუპატიჟებელი

დრამა ერთ მოქმედებათ მეტერლინკისა, თარგმანი მ. ადამაშვილისა.

წარმოდგენის დასაწყისამდე ექიმი ივანე გომართელი წაიკითხავს რეფერატს მოთის მეტერლინგზე.

II.

### ახალი ძალა

პიესა ოთხ მოქმედებათ ლანგმანისა, თარგმანი ევდოშვილისა.

არდგენენ: ქნი—ტასო აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩეფქეზიშვილისა.

ბ ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიშვილი, ი. ჟუვიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი დ. ჩარკვიანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მან. 50 კ.-დან 10 მან.-მდე. პარტერი 1 მან. 25 კაპ. 3 მანეთამდე, ბალკონი 75 კ.-დან 1 მანეთამდე, გალერეივ 30 კ.-დან 40 კაპეიკამდე

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „ქალაქში", „ოჯახის შურჯი", „მზის ამოსვლამდე".

მორიგი წევრი გამგეობისა ზ. გოთუა.

რეჟისორი ვ. გუნია.

### ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი „სიმპატია" და „ინტელიგენტი", რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით ძმ. ფირალოვები.

10—6—7.

### „გუტემბერგისა"

წიგნის მაღაზიაში, თფილისი, შტაბის ქუჩა, № 2.

მიღებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა წიგნები მოზრდილთა და ბავშვებისათვის. წიგნები იგზავნება ფას-დადებით. „ზაკაზები" სრულდება დაუყონებლივ და წესიერათ. თუ „ზაკაზი" გადაცილდა 3 მან. იმ მოხვევაში საჭიროა ბე. (3—ფ.—3)


## სოციალდემოკრატიის გამარჯვება.

**როგორც მოსალოდნელი იყო, თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებმა თავის წარმომადგენლებათ სახელმწიფო დუმაში გასაგზავნათ აირჩიეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან წამოყენებული კანდიდატები: კარლო სიმონის ძე ჩხეიძე და ევგენი პ. გეგეჭკორი.**

### შავების გამარჯვება.

ამ თვის 11-ს, როგორც იყო, დასრულდა ამომრჩეველთა (ვიბორ.) არჩევნები რუსთა კურიაში, რომელსაც შეადგენდენ ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების რუსი მცხოვრებნი, მუშების გამოკლებით. 11-ს მესამეჯერ მოხდა არჩევნები. მისი შედეგები საზოლოვოა. ვინ არიან გამარჯვების ამღებნი და რას მოასწავებს მათი გამარჯვება?

რუსი ამომრჩევლები პირველათ ოთხ დასათ გამოვიდენ; ესენი იყვენ 1, პატრიოტები, 2, „რუს ამომრჩეველთა კავშირი", 3, სოციალდემოკრატები, 4, პროგრესისტები. პირველი ორი კატეგორია შეადგენდა ერთსა და იმავე „ჭეშმარიტ რუსებს", ესენი მხოლოდ თვალის ასახვევათ იყვენ გაყოფილნი. პროგრესისტები სულ მცირე ჯგუფი აღმოჩნდენ, ასე რომ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბრძოლა სწარმოებდა ორ ბანაკს შორის, პატრიოტებსა და სოც.-დემოკრატებს შორის. უკანასკნელ, მესამე არჩევნებზე სწორეთ ესენი იდგენ ერთმანეთის პირისპირ. „პატრიოტებმა" მიიღეს 1353 ხმა, რაიც შეადგენს საარჩევნო ხმების მთელ რაოდენობის თითქმის ორ მესამედს; „გაქსუებულთა" ხმა იყო 122; დანარჩენი მიიღეს სოც. დემოკრატებმა. საგულისხმოა, რომ თუმცა ყველა გარემოებანი „პატრიოტების" სასარგებლოთ იყო მოწყობილი, იმათ მაინც სამგზით დასჭირდათ იერიშის მიტანა და მხოლოდ მესამეჯერ გაიტანეს ლელო.

პროგრესიულ და ოპოზიციონურ ელემენტებში თითქმის არავითარი წინასწარი მუშაობა არ ყოფილა. ისინი თავიდანვე გულ-აცრუებულნი იყვენ, რადგან მოწინააღმდეგე თავიდანვე გამარჯვებულათ მიაჩნდათ. ერთობ სასტიკ პირობებში იყო ჩაყენებული არა მარტო უკიდურესი ოპოზიცია, სოც.-დემოკრატია, არამედ თვით ზომიერ პროგრესიულ ელემენტს არ ჰქონდათ გასაქანი. საკმაოა გავიხსენოთ, როცა ამ უკანასკნელთ თავის მეგულისპასუხე ორატორათ წამოაყენეს ყოფილი მღვდელი, მოქალაქე ი. ბრიხნიჩევი, ეს უკანასკნელი 24 საათში იქნა გუბერნიის საზღვრებიდან გაძევებული.

სულ სხვა იყო „პატრიოტების" მდგომარეობა. მათკენ არის კანონი და „კანონის მოდარაჯენი", იგინი სარგებლობენ სიტყვის, წერის, კრებების, და საერთოთ აგიტაციის შეუზღუდველ თავისუფლებით. და სიმართლე უნდა მივუწყოთ „პატრიოტებს", მათ სავსებით ისარგებლეს თავისს პრივილეგიურ, უპირატეს მდგომარეობით. ისინი არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას. ტყუილი, მართალი, საშინელი უტიფრობა თუ მლიქვნელი თავმდაბლობა, გასაოცარი სიყალბე თუ მოულოდნელი გულ-ახდილობა, მათთვის ყველაფერი კარგი იყო გამარჯვების მოსაპოებლათ. მათი ცენტრალური ორგანო „გოლოს კავკაზა" ერთ ნომერში მოუწოდებდა ყველა რუსებს შეერთებულიყვნენ „პატრიოტულ" ბაირაღ ქვეშ, მეორე ნომერში იგი ჰგმობდა და თითქმის შარლატნობას უწოდებდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებათ დაყოფას, ქადაგებდა მიუდგომელ უპირატესობას ყველა „ჭეშმარიტ" რუსებისაგან ერთი ძმობის შესადგენათ. ძირს პარტიობა, გაუმარჯოს „რუსულ საქმესო", ჰყვიროდა იგი. „პატრიოტები" თავისუფლათ ავრცელებდენ საარჩევნო პროკლამაციებს, როგორც ცალკე ფურცლებათ ისე გაზეთებში. უკანასკნელ არჩევნების დღეს, 11 ოქტომბერს, გაზეთი თითქმის თავით ბოლომდე ასეთ მოწოდებებით იყო გავსებული. ერთი მათგანი, სხვათაშორის, ღაღადებდა: „დღეს... ბრძოლაა: ცალმხარეზე დგანან სულით და გულით რუსი ადამიანები და მეორეზე—სოციალდემოკრატია"... როგორ იქნებოდენ ეს უკანასკნელნი დახასიათებულნი, მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს. „პატრიოტებისაკენ" გაზეთი ასე მოუწოდებდა: „ვისაც სურს მედნიერება და მშვიდობა თავის დ ტანჯული სამშობლოისა..., **ვისაც სწყურიან სახალხო ცხოვრების გარდაქმნა ახალ პრინციპებზე**...ის წამივა ჩვენთან, ხმას მისცემს იმათ, ვინც თქვენ დაასახელეთ, რუსო ადამიანებო". ერთის სიტყვით, აქ „პატრიოტული" გაზეთი განახლებისა და კონსტიტუციის მომხრეთ გამოდიოდა. ხოლო წინანდელ ნომრებში კი იგი ცოტა სხვასა სწერდა: „წინათ, როდესაც საზოგადოების თავში მეფობდა დროებითი შეშლილობა, როდესაც მას რევოლიუციონურის შხამით დამთვრალს არც კი უნდოდა გაეგონა, თუ რუსეთში კიდევ არსებობდა შეუზღუდველი თვითმპყრობელობა მეფისა... მაშინ მთავრობას შეეძლო საზოგადოების გამოფხიზლების მოლოდინში ეწერნა იმდენი ცირკულიარები და დადგენილებანი, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ ეხლა, როცა რევოლიუციის ელვა-ქუხილმა გადაიარა, როცა შეიძლება რევოლიუციონურ გიდრას ჯერ კიდევ სრულიად არ გამოსვლია ახალი ყოვლის შთამნთქავი ყბები, ეხლა მთავრობა უნდა ფეხზე დადგეს და მან უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე, გამქარწყლებელი ყოველგვარ კომპრომისებისა, დათმობათა, შეღავათებისა"... (№ 380). სხვა ნომერში გაზეთი კიდევ უფრო აშკარათ ესარჩლებოდა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას, ძველი რეჟიმის ხელშეუხებლობას და გაშმაგებული ჰგმობდა კონსტიტუციის ყოველივე ნასახს იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ევროპაშიაც კონსტიტუციის შემზადებას დასჭირდა მთელი საუკუნოები, და მით უმეტეს, ეს (საუკუნოები) საჭირო იქნება ჩვენ ბნელ, უვიც ტიტია და ამასთანავე საკმაოთ გარყვნილ-გაფუჭებულ ხალხისათვის". (№ 392). ასე, რომ „პატრიოტები" რუსეთისათვის კონსტიტუციაზე ფიქრს შესაძლებლათ ხედავენ მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ. მაშ რაღას ნიშნავს ამათგან („პატრიოტებისაგან") „კონსტიტუციის" მომხრეობა და „სახალხო ცხოვრების ახალ პრინციპებზე გარდაქმნა"? ამასაც განგვიმარტავს თვითონ „პატრიოტების" ორგანო: „ჩვენ უკან არ მივდივართ უახლოვბელეს წარსულის მბრძანებლობის წესწყობილებისაკენ (приказной строй). რესტავრაცია (ძველი რეჟიმის აღდგენა) ანუ მთავრობის აღდგენა არა ნიშნავს უკან წასვლას,ძველ ადგილებზე უიღბლო „ბიუროკრატების" მოპატიჟებას და კვლავ ქაღალდის წარმოების დაწყებას"... (№ 411).

აი, ასეთია პოლიტიკური ვინაობა იმათი, ვინც 11 ოქტ. გაიმარჯვა რუსთა კურიაში. ესენი არიან გონებრივათ და ზნეობრივათ სრულიად საპყარნი და საცოდავნი. „პატრიოტების" შესახებ ვერ ვინ მოტყუვდება, გარდა ძმა-ყრუებისა. მერე ვინ არიან სოციალურათ ის ამომრჩეველნი, რომელთაც „პატრიოტებს" მისცეს თავისი ხმები? ესენია წვრილი მოხელე-მოსამსახურენი, რომელნიც სამშობლოში ცხოვრებიდან გარიყულნი, განაპირა ქვეყნებისაკენ გადახვეწილან ბედის საძიებლით, რადგან ხელ-საყრელ პირობებს დაპირებიან; ესენია მომსხო საერო და სასულიერო ჩინოვნიკობა, რომელთაც თფილი და შემოსავლიანი ადგილები ავალებს ამის ერთგულებას, ე. ი. „პატრიოტობას"; ესენია ამ „პატრიოტების" მოსამსახურე-ლაქიები. ამგვარ მასსას ცხადია ერთი მუჭა „საქმის მწარმოებელნი" თავიანთ სურვილისამებრ მიატრიალ-მოატრიალებენ იმ ქონებრივ და ზნეობრივ ძალ-ღონებით, რაიც მათ ხელთ არის. „პატრიოტების" გამარჯვება საკვირველი არ არის; საკვირველი უფრო ის არის, რომ რუსთა კურიაში, აღნიშნულ პირობების მიუხედავათ, სოციალდემოკრატიამ მაინც ასეთი ძლიერი უმცირესობა მოიპოვა. სათანადო საარჩევნო მუშაობა რომ ყოფილიყო, ჩვენის აზრით, „პატრიოტები" დამარცხდებოდენ. მარა მათ დღეს—ლელო გაიტანეს. გუშინწინ მთელმა ამიერ-კავკასიის რუსობამაც შავ-რაზმელი აირჩიეს დეპუტატათ. მარა მთავრობა მიაღწევს თუ არა თავის მიზანს, ე. ი. დაამტკიცებს, რომ ოპოზიცია და რევოლიუცია მხოლოდ „ინოროდცების" საქმეა, რომ წმინდა რუსები ერთგული ყმები არიან ძველი რეჟიმისა, რომ ისინი არიან „სამედო", ძლიერი საყრდენობი მთავრობისა? სასაცილო იქნებოდა ამის ფიქრი. ყველა კარგათ ხედავს, თუ რა პირობებში მიმდინარეობს არჩევნები. მიუხედავათ ამ პირობებისა, სიმართლე მაინც ვერ ჩაალრჩეს. რუსეთში რუსის გლეხობამ და მუშებმა ზურგი აქციეს „ჭეშმარიტ" რუსებს. ქალაქებში პირველ კატეგორიის არჩევნებმა ნამდვილ ოპოზიციას მისცა 30 პროც., მეორე კატეგორიამ—80 პროც.

ხოლო თითო-ოროლა შავრაზმელის გამოსვლა იქ, სადაც დავაა საქვეყნო ჭირ-ვარამზე, ხალხს უფრო განუცხოველებს ძველი რეჟიმის დანგრევის სურვილს, გაუორკეცებს ბნელი ძალებისადმი ზიზღსა და სიძულვილს; ხალხი უფრო ენერგიულათ გაექანება ახალ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებისაკენ.

### დეპუტატის არჩევა თფილისის გუბერნიიდან.

14 ოქტომბერს არჩეულ იქნა დეპუტატი თფილისის გუბერნიის საერთო კურიიდან. არჩევნები მოხდა გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში. დილის 9 საათიდან ვიბორშჩიკებმა და აგრეთვე გარეშე პირებმა იწყო თავის მოყრა. გუბერნიის 53 ვიბორშჩიკიდან გამოცხადდა არჩევნებზე მხოლოდ 43. 10 ს. და 30 წ. გაიხსნა სათათბირო კრება, დიდი ხმის უმეტესობით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნ. რ—ლი. არჩევნებში მხოლოდ ორი პარტია იღებდა მონაწილეობას სოციალდემოკრატების და ეგრეთ წოდებულ პროგრესისტების. პირველის კანდიდატი იყო ნ. ჩხეიძე, მეორის—ლ. ანდრონიკაშვილი. სათათბირო კრების მიზანი იყო დასახელებულ კანდიდატების დაფასება და იმ გზის ჩვენება, რასაც არჩეული დეპუტატი უნდა დაადგეს სახელმწიფო სათათბიროში, იმ კითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს დეპუტატმა დუმაში, ილაპარაკეს ბევრმა ორატორებმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ანდრონიკაშვილმა, მან ბევრი ილაპარაკა ს.-დემოკრატების ტაქტიკის უვარგისობაზე. მან სთქვა, პარლამენტას ისეთი დემოკრატიული შედგენილობა, როგორც იყო

მეორე სათათბიროში, ევროპის არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა. ამით ვერ ისარგებლეს სოციალდემოკრატებმა, ვერ დააფასეს დუმის მნიშვნელობა და ზედმეტი აგიტაციის გაწევით იგი გაარეკინეს მთავრობას. დღეს დუმა საკანონმდებლო დაწესებულებაა, ამის გამო იქ წამსვლელი კაცი უნდა იყოს სახელმწიფო კანონებს გაცნობილი, რომ შესძლოს სხვასთან ერთათ საქმის კეთება. დუმაში უნდა შესდგეს ძლიერი ოპოზიცია, რომელმაც უნდა დაარღვიოს ის მთავრობის ცენტრი, რომელიც 3 ივნისის კანონის მეოხებით მკვიდრი იქნება სათათბიროში. თუ აქ დამსწრე ვიბორშჩიკებიც ისე უყურებენ საქმეს, როგორც მე, მაშინ მე კმაყოფილი ვიქნები, ვინც უნდა იქნეს გაგზავნილი“-ო.

ანდრონიკაშვილს უპასუხა ნ. ჩხეიძემ. მან სთქვა: „მე მაკვირვებს ანდრონიკაშვილის განყენებული აზრები, რომელშიაც სრულიად არ მოიპოვება რეალური პოლიტიკა. ჩვენ დუმას არც წინათ და არც ახლა ისე არ უყურებთ, როგორც მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებას, ვინაიდან კანონ-პროექტს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომ არ არის ნიადაგი, რომელიც შესაძლებლათ გახდის მის დაკანონებას და ცხოვრებაში გაყვანას. ამნაირი ნიადაგი კი, ჯერ-ჯერობით, არ არის, რადგანაც ის უმთავრესი ძალა, რომელიც ქმნის კანონებს და ანხორციელებს ცხოვრებაში—ხალხი (მასსა) ჯერ შესაფერათ არ არის პოლიტიკურათ მომწიფებული, ორგანიზაციულათ შეკავშირებული, ამის გამო, თუ ჩვენ სათათბიროში მივდივართ, უპირველეს ყოვლისა მიზნათ ვისახავთ ხალხის გათვითცნობიერებას, მის დუმის გარშემო შემოკრებას; გარდა ამისა, სათათბიროში იქნებიან სხვა და სხვა კლასების წარმომადგენელნი, და ჩვენი, პროლეტარიატის კლასის წარმომადგენელთა მოვალეობაა, ყველას კრიტიკულათ შევეხოთ და ხმა მაღლა ვამცნოთ მშრომელ ხალხს—პროლეტარიატს და გაღატაკებულ გლეხკაცობას მისი ინტერესების წინააღმდეგობა სხვა კლასების ინტერესებთან. ბ-ნ ანდრონიკაშვილს კი სათათბიროში ასეთი კრიტიკა საჭიროთ არ მიაჩნია. ამასთან ჩვენ ოპოზიციას ან შემოვიერთებთ, ან შევუერთდებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს ჩვენი მიზნისათვის საჭირო იქნება; რაც შეეხება მუდმივ კავშირს ოპოზიციასთან (კადეტებთან), ცხადია, ეს ბ. ანდრონიკაშვილს შეუძლია და არა ჩვენ, რომლებიც ვცნობთ კადეტებს და ვიცით მათი „რევოლიუციონერობაც“ და მათი „რეაქციონერობაც“...

მესამეთ ილაპარაკა ვექილმა ალ. ჯაბადარმა. ორატორი გაკვირვებული იყო ბ-ნ ანდრონიკაშვილის სიტყვით; მან თქვა: როგორც ჩანს, ბ-ნი ანდრონიკაშვილი კადეტი ყოფილა, რადგანაც ასე ცხარეთ იცავს კადეტებს,—იმ კადეტებს, რომლის ორჭოფობა, რომელთა მუქთახორობა (პოლიტიკური მნიშვნელობით), რომელთა შიში და მთავრობასთან ვაჭრობის გამართვა ისტორიულათ დამტკიცებულია; ნუ თუ ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა ვერ ნახა კადეტებზე კარგი პარტია? ნუ თუ მას ჰყოფნის გაბედულობა აქოს ის, ვისაც ხალხისათვის მოღალატეობა გაუწევია?.. მეც მაქვს ერთი ხმა და არ მივცემ ჩემ თავს უფლებას, არც ვურჩევ აქ დამსწრე ამრჩევლებს მისცენ ხმა იმ კაცს, რომელიც კადეტებს ასე აღმერთებს. შემდეგ ილაპარაკეს თავმჯდომარემ ნ. რ—ლმა, ნ. ე—ვამ და სხვა ს.-დ. ორატორებმა. ყველა ეს ორატორები იმ შეხედულებას ხატავდენ, რომელსაც მათ ს.-დ. პარტიის პროგრამა უკარნახებს. შესანიშნავი იყო ბ-ნ გვაზავას სიტყვა; „დეცენტრალიზაციის“ და „ფედერაციის“ შესახებ. მთავრობამ 3 ივნისის კანონით არც პროლეტარიატისა და არც გლეხებისათვის არ წაურთმევია საარჩევნო უფლება, არამედ მან შეპორკა მხოლოდ სხვა და სხვა ეროვნება, ამიტომ თუ სათათბიროში იმისთანა დეპუტატი გვეყოლება, რომელიც მოითხოვს „დეცენტრალიზაციას“ (ფედერაციას), მაშინ ჩვენი (ქართველების) საქმე კარგათ წავაო. ასეთი დეპუტატი კი ანდრონიკაშვილი იქნებაო.

თუმცა თვით ანდრონიკაშვილს დუმაში ფედერაციაზე ლაპარაკი მეტათ მიაჩნდა. კრების ოფიციალურმა თავმჯდომარემ მარშალმა პ. თუმანოვმა, 12 ს. ამრჩევლებს საარჩევნო წესდება წაუკითხა. 1 საათზე მოხდა კენჭის ყრა. სულ დაესწრო 46 ვიბორშჩიკი, მარა კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს 43. 43 ხმაში ნ. ჩხეიძემ მიიღო 24 თეთრი და 19 შავი. „პროგრესისტების“ კანდიდატმა ანდრონიკაშვილმა მიიღო 19 თეთრი და 24 შავი. ამნაირათ, თფილისის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ არჩეულ იქნა კ. ჩხეიძე. არჩევნების შემდეგ ს. დ. პარტიის კანდიდატის გამარჯვებას დამსწრე ვიბორშჩიკები და საზოგადოება დიდის აღტაცებით და ტაშის ცემით მიეგებენ. მისალოცი სიტყვა წარმოსთქვეს რამდენიმე ამხანაგებმა, სხვათა შორის ს. ჯ—ძემ, რომელმაც თავის გრძნობიერებით სავსე სიტყვაში ნათლათ დახასიათა ის ხვედრი, რომელიც წილათ ხვდებათ ხოლმე ს.-დ. დეპუტატებს, მან გაამხნევა ჩხეიძე, რომ ის პროლეტარიატის გულისათვის ისე მიეგებოს ყოველივე ტანჯვას, როგორც სამხიარულო დღესასწაულს. ბოლოს კრება დაიხურა და დეპუტატი დიდი ოვაციით გამოიყვანეს ქუჩაში.

ე—ლი

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრათ არჩეულ იქნა სოციალდემოკრატი—გეგეჭკორი 21 ერთი ხმით წინააღმდეგ 14 ხმისა.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

14 ოქტომბერი

**დეპუტატთა არჩევნები რუსეთში.**

14 ოქტომბერს ღამის 12 საათამდე პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობებიდან, გამორკვეულია, რომ ამ დღეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებსა და ქალაქებში აურჩევიათ 206 დეპუტატი, აქედან 12 კაცი რუსის ხალხის კავშირის წევრია, 1—განაპირა ქვეყნების რუსთა კავშირის წევრი, 1—რუსთა კრების წევრი, 3—ბესარაბიის ცენტრის პარტიის წევრი, 46—ოქტომბრისტი, 4—მათი მომხრე, 1—მირნოობნოვლენცი, 15—კადეტი, 6—მუსულმანთა ფრაქციიდან, 6—ბალტიის კონსტიტუციონალ-მონარქისტულ პარტიიდან, 6—სოციალდემოკრატი, 1—სოც.-რევოლ. 1—დაშნაკცაკანი, 11—მონარქისტულ პარტიის მომხრეთ წოდებული, 55—მემარჯვენეთ წოდებული, 9 ზომიერი, 2—კონსერვატორი, 5—მემარცხენეთა მომხრე, 7—პროგრესისტი, 1 ზომიერი კონსტიტუციონალისტი 5—ზომიერი პროგრესისტი, 2 უკიდურესი მემარცხენე, 1 უპარტიო. ყოფილ დეპუტატთაგან ხელახლათ არჩეულ იქნა, სხვათა შორის: ეპისკოპოსი ევლოგი, პურიშკევიჩი, კრუპენსკი, და სინადინო.

# ახალი ამბები

**პატრიოტების გამარჯვება.** 14 ოქტომბერს, ღამის თერთმეტის ნახევარ საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დიდი ვაი-ვაგლახის და ვიბორშჩიკების წამების შემდეგ დამთავრდა დეპუტატის არჩევნები ამიერ-კავკასიის რუსთა კურიიდან. 31 ხმით არჩეულ იქნა ტიმოშკინი, ცნობილი მეთაური პატრიოტების საზოგადოებისა თფილისში. ამნაირათ, თუმცა პროგრესისტების კანდიდატს მეტი შანსი ქონდა, მაინც რაღაც მანქანებით კენჭის დაყრის შემდეგ გამარჯვება მის მოწინააღმდეგეს დარჩათ.

✦ **მეთონეების გაფიცვა.** თფილისის მეთონეები გაფიცვას განაგრძობენ. მათი მოთხოვნილება იმაში მდგომარეობს, რომ გირვანქა პურში მისცენ 6 კაპ., წინააღმდეგ შემთხვევაში არ აპირობენ პურის გამოცხობას. მათ, სხვათა შორის, თავიანთი ბიუროს სახელით, ფურცელიც გამოუშვიათ, სადაც გოდებენ იმ ფულებზე (11,000 მ.), რომლებიც გაუფლანგავთ მათ მიერ არჩეულ კაცებს, წინადადებას აძლევენ ქალაქის თვითმართველობას, დააკანონოს 6 კაპ. ერთ გირვანქა პურზე და ემუქრებიან ყველა იმათ, ვინც მათ წინააღმდეგ ურჩობას გაბედავს.

✦ **პურის გაძვირების გამო.** 1-ლ საპოლიციო უბანში ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუდგენიათ განცხადება ქალაქის გამგეობის სახელზე, რომლითაც ისინი ავალებენ ქალაქის გამგეობას, რომ მან დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები პურის გაძვირების თავიდან ასაცილებლათ. განცხადებას ხელს აწერენ და შემდეგ გადასცემენ ქალაქის გამგეობას. როგორც გადმოგვცეს, ამნაირი განცხადება და ხელის მოწერა მზადდება სხვა უბნებშიაც.

✦ **მუშების გამარჯვება.** როგორც გავიგეთ, „ვინნი პოდიომზე“ მოვაჭრეებს იაგორა ვირთანოვს და გეურქა პოპოვს დაუკმაყოფილებიათ თავისი ნოქრები, რის გამოც ნოქართა უპარტიო კავშირს მათთვის ბოიკოტი აუხსნია.

✦ **პარიკმახერთა გაფიცვა.** ამას წინათ კავკასიის პარიკმახერთა ამხანაგობის ქარგლებმა წარუდგინეს ხაზეინებს ეკონომიური მოთხოვნები. რადგანაც ხაზეინები არ დათანხმებულან მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ამის გამო 11 ოქტომბერს 12 კაცს მუშაობა შეუწყვეტიათ. სხვათა შორის გაფიცულებს არ მიმხრობია ორი ქარგალი.

✦ **ლექციები უმაღლეს კურსებზე.** დღეს, 16 ოქტომბერს, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში წაიკითხავენ ლექციებს. პირველ ლექციას წაიკითხავს პლატონოვი „ღვთის მეტყველებაზე“, საღამოს 7—9 საათამდის; მეორეს—ალაბეგოვი „პრავოვედენიეზე“ 8—9 ს—დის.

✦ **შემომწირველთა საყურადღებოთ.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ერთი მუშა ადელხანოვის ქარხნისა, გაბრიელ შუბლაძე, ჰკვაზე შეიშალა და დღეს უკიდურეს მდგომარეობაშია ისიც და მისი ოჯახობაც; თუ ვინმე მოისურვებს ნივთიერ დახმარებას, თავისი წვლილი გამოგზავნონ „ჩვენი გზის“ რედაქციაში შუბლაძეზე გადასაცემათ.

✦ ჩვენ ნამდვილი წყაროებიდგან გავიგეთ, რომ ლანჩხუთის რაიონულ ორგანიზაციას ახლო ხანათ ქონია მსჯელობა ნ. ე-ძის და ნ. უ-ძის მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე შესახებ ნ. მხეიძისა და დაუდგენია, რომ ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა და ფაქტები, რომლებიც დასახელებულ პირებს აღუნიშნავთ, საკმარისი არ არის უბრალო ეჭვისათვისაც კი მხეიძის ჯაშუშობაზე.—ამავე ორგანიზაციას ქონია მსჯელობა პართენ ე-ძის კონსპირაციის დარღვევის თაობაზე, მაგრამ ყველა წამოყენებულ ბრალდებისაგან გამართლდა.

✦ კვირას, 14 ოქტომბერს მ-წს მიაბარეს „სინათლის“ რედაქტორათ ნამყოფი—არშაკ ვარნაზიანცი (ცაფცას ზანგი). დაკრძალვას ხალხი ბლომათ დაესწრო, კუბოს ამშვიდებდა ოცდა ხუთამდე გვირგვინი წითელი ლენტებით, მათ შორის „ფოთელ ამხანაგებისაგან“, „ფოთელ მუშათა საზოგადოებისაგან“, თფილისელ თათრებისაგან“, „მექისეებისაგან“, ქართველ ამხანაგობის გამომცემელ საზოგადოების სტამბის მუშებისაგან“, „მეხუთე რაიონის კომიტეტისაგან“, მეხუთე რაიონის მეცხრამეტე იაჩეიკის წევრებისაგან“, „თამბაქოს ფაბრიკის მუშებისაგან“, „პროფესიონალურ კავშირების მუშებისაგან“, „ხარფუხელ ამხანაგებისაგან“ და სხვ. საფლავზე წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე,—ყველა ორატორი ზიზღს უთვლიდა ამხანაგ არშაკას ჯალათს, რომელმაც უდროვოთ გამოასალმა წუთისოფელს საუკეთესო ამხანაგი. ჯალათის სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა.

✦ **გაზეთის დახურვა.** 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ადმინისტრაციამ ალყა შემოარტყა სომხური გაზეთის „შავიხის“ (ბილიკი) რედაქციას ობშჩესტვენის ქუჩაზე. რედაქციაში ამ დროს არავინ ყოფილა, საწინააღმდეგოც ვერაფერი აღმოუჩენიათ. რედაქცია დაბეჭდეს. არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** როგორც გადმოგვცემენ, თფილისის მიხაილოვის საავადმყოფოში შულავერიდან ჩამოუყვანიათ ერთი ავადმყოფი, იოსებ კარასი, რომელსაც ექიმების შემოწმებით, ხოლერის ნიშნები ჰქონია.

✦ **გაფიცვა.** როგორც გადმოგვცეს 15 ოქტომბრიდან გაფიცულან თფილისის ქუდების და შლიაპების სახელოსნოთა მომუშავეები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები და 7 მუხლისაგან შედგარი ეკონომიური მოთხოვნები წარუდგენიათ.

✦ **მასწავლებელთა კრება.** 14 ოქტომბერს შესდგა საზოგადო კრება კავკასიაში სომხურ სკოლების მასწავლებლებისა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება და აირჩია ცხრა კაცისაგან შემდგარი ახალი გამგეობა ბ. ავეტისიანი, აბოვიანი, ვარდანიანი, მირიანიანი, დოლანიანცი და მეგრაბიანი. მათ კანდიდატებათ ატანიანი და ყაზარიანი.

✦ 13 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი თავს დასხმიან ვაგზლის მოედანზე გამვლელ ლეოპოლდ ნეიშელდერის სავაჭრო სახლის არტელშჩიკს ვასილი ტკვეტკოვს, როდესაც მას საქონლის სადგურიდან ფულება მოქონდა. მძარცველებს გაუტაცნიათ 1027 მან. და 35 კაპ. და მიმალულან.

✦ 13 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ანდრეევის და ტრამვაინის ქუჩის კუთხეში სამი შეიარაღებული მძარცველი შესცვივნულან სოლდიდოვის საწვრილმანო დუქანში, სიკვდილის დამუქრებით, ფულები მოუთხოვიათ, სოლდიდოვს რევოლვერი უძგერია და ერთხელ გაუსროლია. მძარცველებს სროლითვე უპასუხნიათ და გაქცეულან არც დაუჭრიათ ვინმე და არც არაფერი წაუღიათ. ნახევარ საათის შემდეგ იგივე მძარცველები შესულან დიდუბის ქუჩაზე მატინოვის დუქანში. რევოლვერი დაუდვიათ გულზე მის ნოქრისათვის, მერეებს კასიდან გაუტაცნიათ 50 მან. და მიმალულან.

✦ 14 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, პესკის ქუჩაზე ბაირამ ყული-ოღლის სახლში ნუხის მცხოვრებს აზამ-მაგიმ ოღლის სიმთვრალის დროს მოუკლავს ბორჩალოს მაზრის მცხოვრები მუსსუ აბდულა მამედოვი. აზამ რაგიმ ოღლი შეუპყრიათ.

✦ 14 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. საკედლესიო ქუჩაზე გამვლელ ბუაგდალტერ კაკო ყაზაროვისათვის ბოროტ-მოქმედებს უსვრიათ ხუთჯერ რევოლვერი. ყაზაროვი მძიმეთ დაუჭრიათ, როდესაც საავადმყოფოში მიუყვანიათ, იქ უკვე გარდაცვლილა. მკვლელის აღმოსაჩენათ ადმინისტრაციას მიუღია ზომები.

✦ 14 ოქტომბერს, დილის 10 ს. 30 წ. ანთონოვის ქუჩაზე ადმინისტრაციას გაუჩხრეკია სახლი № 17. საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენიათ, თუმც ეჭვით წაუღიათ ლებიბი და ჩაის ჭიქები. არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ 14 ოქტომბერს, დილის 9 ს. სააზნაურო ქუჩაზე № 12 თფილისის მთავარის ზაქარა პოპოვის საწყობიდან მოუპარავთ უცნობებს 30 ტომარა ფქვილი სულ 150 ფუთი, ღირებული 300 მ.ნ.

✦ **თფ. პოლიცმეისტრის განკარგულება.** პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს ქალაქის ყველა ბოქაულებს აკრძალონ გვირგვინების ხელით ტარება, აგრეთვე აკრძალოთ გვირგვინებზე წარწერა პროცესიის დროს; ყველა გვირგვინები უნდა დაწყობილ იქნეს ბალდახინზე ან და განსაკუთრებით დაქირავებულ ეტლზე. ეს უნდა გამოეცხადოს გვირგვინების გამყიდველებს, ვინც არ შეასრულებს ამ დადგენილებას, პასუხის-გებაში იქნეს მიცემული.

# რუსეთის პრესა

**კონსტიტუცია და კონსტიტუციონალისტობა.**

გაზ. „რუს. ვედ.“-ში ცნობილი კადეტი კოკოშკინი სწერს:

„კონსტიტუცია არ არის მხოლოდ განყენებული პრინციპი, იგია მთელი სისტემა დაწესებულებათა, რომელთა მიზანია პრაქტიკული მოქმედება და რომელნიც ერთმანეთზე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, ერთმანეთს ავსებენ და უზრუნველყოფენ. შეიძლება მიიღოთ ან უარჰყოთ კონსტიტუციონური წესწყობილება, მარა არ შეიძლება მიიღოთ იგი სანახევროთ. სახელმწიფოს აბსოლიუტურ (თვითმპყრობელ) და კონსტიტუციონურ მართვა-გამგეობას შორის არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე საშუალო, ორთაშუა მყოფი ფორმა. კონსტიტუციონალისტი შეიძლება დავუძახოთ მხოლოდ იმას, ვინც იღებს ყველა საკონსტიტუციო დაწესებულებათა მთელ რიცხვს და იბრძვის ამის განსახორციელებლათ. კონსტიტუციონალისტი არ შეიძლება დაყოყმანდეს იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი სამინისტროს პასუხის მგებლობის შესახებ, არ შეუძლიან დაიცვას იურისდიქციის განსაკუთრებული ფორმები (მაგ. სამხედრო-საველე სასამართლონი), რაიც მოკლებულია საჭირო სასამართლო გარანტიებს, და რაც უფრო უმთავრესია, არ შეუძლიან კონსტიტუციის მოქმედება დაუმორჩილოს „მწუხარე აუცილებლობის“ უმაღლეს პრინციპს (როგორც მაგ. ოქტომბრისტებმა დაადასტურეს მეორე დუმის დათხოვნა და 3 ივნისის საარჩევნო კანონი)...

რამდენათ აკმაყოფილებენ კონსტიტუციონალიზმის ცნებას „ოქტომბრისტები“ და მათი ლიდერი,—ამაზე ლაპარაკიც კი მეტათ მიმაჩნია“.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს გრძელი ციტატა იმის საჩვენებლათ, თუ კადეტებს რამდენათ ღირსეულათ უჭირავთ ხოლმე თავი, როგორ უხდებათ ვაჟკაცური კილო, როცა თეორეტიულათ ეკამათებიან მემარჯვენეებს თუ შავ-რაზმელებს საკონსტიტუციო პრინციპებზე. მაგრამ როცა კი ჯერი მიდგება ხოლმე საქმეზე, „საკონსტიტუციო დაწესებულებათა სისტემის“ შემუშავებაზე და ამ სისტემის „განსახორციელებლათ ბრძოლაზე“, მაშინ კი იგინი სრულიად ჰკარგავენ ვაჟკაცურ ელფერს და ნამდვილ ქონდრის კაცებათ ხდებიან ხოლმე. მესამე დუმაში ისინი ვაჟ-კაცებათ ვერ დაენახვებიან მთავრობას, თუ კი ოქტომბრისტებათ მაინც არ ექნებათ მემარცხენე ოპოზიცია. ეს რომ მათ ესმოდეთ, ოქტომბრისტებთან შეუღლების ფიქრს თავს დაანებებდენ.

## პარტიების ცხოვრებიდან

**რ. ს.-დ. მ. პ—იის პეტერბურგის კომიტეტმა** განიხილა კითხვა პლეხანოვის წერილის „უსაფუძვლო შიშის“ შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: „პეტერბურგის კომიტეტი მხარს უჭერს რ. ს.-დ. მ. პ—იის ცენტრ. კომიტეტის გადაწყვეტილებას, წესიერებისადმი მოუწოდოს პლეხანოვი, რომელიც გადაიქცა ბურჟუაზიულ გაზეთის მუდმივ თანამშრომლათ და რომელმაც თავისი უკანასკნელი წერილით ამ გაზეთის ფურცლებიდან მოიწოდა პარტიის წევრები დაარღვიონ მათ პარტიული დისციპლინა საარჩევნო კამპანიაში. ამხანაგ პლეხანოვის ასეთი მოქმედება, როგორც ყოველი მ. სი გამოსვლა ბურჟუაზიულ პრესაში პარტიის წინააღმდეგ, პეტერბურგის კომიტეტის აზრით, ღირსია ს.-დ. პარტიის წევრების მხრივ ყოვლად მკაცრი გაკიცხვისა“.

**მენშევიკების კრებამ** პეტერბურგში განიხილა კითხვა შესახებ პლეხანოვის მოწოდებისა მენშევიკების მიმართ—გამოთქვან თავისი აზრი ეგრეთ წოდებულ „პლეხანოვის ინციდენტის“ გამო. კრებამ გამოთქვა თავისი აზრი ეგრეთ წოდებულ „პლეხანოვის ინციდენტის“ გამო. კრებამ გამოთქვა სრული თავისი თანხმობა პლეხანოვთან და დაადასტურა ის რეზოლიუცია, რომელიც ამ საგნის შესახებ მენშევიკებმა ამას წინათ გამოიტანეს.

**ს.-დ. პარტიის ვიბორგის კონფერენციამ** მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „განვიხილეთ რა ამხ. პლეხანოვის ინციდენტი, კრება ეთანხმება პლეხანოვის აზრებს, რომლებიც მან გამოთქვა თავის წერილში „უსაფუძვლო შიში“, და წუხს, რომ ცენტრ. კომიტეტმა მიიღო ისეთი დადგენილება, რომელიც კიცხავს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლს“. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე და წავიდენ კონფერენციიდან. მგზავსი რეზოლიუცია გამოიტანა ვიბორგის რაიონის მენშევიკების კრებამ.

**გამოვიდა პლეხანოვის ახალი ბროშურა** სათაურით „ჩვენ და ისინი“. ამ ბროშიურაში მოთავსებულია პლეხანოვის სიტყვები, რომლებიც მან წარმოსთქვა რ. ს. დ. მ. პარტიის სიეზდზე ლონდონში. წინასიტყვაობაში ავტორი განმარტავს, თუ რა მიზნით ბეჭდავს იგი თავის სიტყვებს: „მე მინდაო, ამბობს ავტორი, მასალა მივცე მკითხველს იმ განსხვავების გამოსარკვევათ, რომელიც არსებობს ეგრეთ წოდებულ ბოლშევიკებისა და ეგრეთ წოდ. მენშევიკების შეხედულებათა შორის. ავტორი ბოლშევიკების ტაქტიკას ადარებს ბლანკის, ბაკუნინის და სხვა რევოლიუციონერ უტოპისტთა ტაქტიკურ წესებს და იმეორებს წინასიტყვაობაში იმ აზრს, რომელიც მან გამოთქვა სიეზდზე დუმის ფრაქციის მოქმედების განხილვის დროს, „ჩვენს ბოლშევიკებსო,—ამბობს პლეხანოვი, ხალხის მიერ უკვე მიღწეულათ მიაჩნიათ რევოლიუციონურ შეგნების ის საფეხური, რომელზედაც ხალხი ჯერ კიდევ უნდა ას-

ვანილ იქნას მისი საკუთარი პოლიტიკური გამოცდილების შემწეობით. მაგრამ ეს სწორეთ ის შეცდომაა, რომელსაც განუწყვეტლივ აკეთებდენ, თავიანთ ტაქტიკურ ანგარიშებში, ყველა რევოლიუციონერ-უტოპისტი და რომელსაც დღემდე გამუდმებით იმეორებენ უტოპიზმის დეკადენტები ანარქისტები. შეიძლება გერმანიაში, განაგრძობს ავტორი, სადაც ანარქიზმი არასოდეს არ ყოფილა გამეფებული მიმდინარეობა, ანარქისტების ტაქტიკაც მართლაც შეეძლოს ჩაუნერგოს ამა თუ იმ სოციალდემოკრატს აზრი ბრძოლის იმ ახალი წესების შესახებ, რომლებსაც ცხოვრებაში ახალი პირობები თითქო ნიადაგს უმზადებენ. ასე არ არის ჩვენში. მთელი თავისი არსებით ჩვენი ბოლშევიკების ტაქტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ აზროვნების იმ ჩვეულებისაკენ დაბრუნებას, რომელიც დიდიხანი არ არის მას აქეთ, ერთიანათ გაბატონებული იყო ჩვენი რევოლიუციონერების წრეში და რომელიც დღემდე ჰარბობს სოც.-რევოლიუციონერთა შორის". ეს ტაქტიკა არა ქმნის არაფერს ახალს—ანარქო-სოციალიზმს გარდა—და მხოლოდ აღადგენს ძველს, რომელმაც სრულებით მოჭამა დრო, დრო, რომელიც დიდიხანია დროა უარყონ ჩვენმა რევოლიუციონერებმა თავისივე საქმის სასარგებლოთ. აი ამიტომაც, დასკვნის პლეხანავი, ბოლშევიკებისათვის მხარის დაჭერა მენშევიკების საზარალოთ ნიშნავს უტოპიზმისათვის მხარის დაჭერას მარქსიზმის საზარალოთ.

## მუშათა შორის

**მოკლე პასუხი.**

გაზეთ „ისარში" ბატონი „ახალი კავშირის წევრი" მეორეთ სწერს ჩვენ წინააღმდეგ წერილს, მარა მისი ეს მეორე წერილიც ჩვენი ბრალდების პასუხი არ არის. ის განზრახ გვერდს უხვევს ჩვენ მიერ პრინციპიალურათ დასმულ კითხვებს და გადადის კერძო პიროვნებაზე. ამ ფარგალში ჩვენ საჭიროთ არ ვსცნობთ მასთან კამათს. თუ „პატივცემულ" „ახალი კავშირის წევრს" ვისმესთან კერძო ანგარიშები აქვს გასასწორებელი, უმჯობესია აიხადოს თვითონ ფარდა, მოწინააღმდეგესაც ახადოს და, როგორც კერძო საქმე, გადასცეს სამედიატორო სამართალს გასარჩევათ. თორემ ამგვარი კამათით, როგორათაც ბ. „ახალი კავშირის წევრი" კამათობს, პატივცემული მკითხველი საზოგადოება ტყვილდება თითქო რამე საზოგადო და ყველასათვის საინტერესო საგანზე იყოს კამათი.

ვაფრთხილებთ: ან ჩვენ მიერ პრინციპიალურათ დასმულ კითხვებზე გაგვცეს პასუხი, ან არა და, სულ გაანებოს თავი ჩვენთან კამათს, რადგან ამ სფერაში ჩვენ მაგას არ გავყვებით, ვინაიდან ეს ჩვენი დამცირება იქნებოდა...

იგივე მუშა.

—

**ქ. ბათუმი.** ხუთ ოქტომბერს ევროპიულ მექუდეების შეგირდები, რიცხვით 12 კაცი გაიფიცენ და ხაზეინებს მოთხოვნები წარუდგინეს. ხუთიდან ცხრამდე გაფიცვა მშვიდობიანი გზით მიდიოდა. ცხრაში ხაზეინებმა კავშირი შეკრეს და წერილობითი გამოუცხადეს შეგირდებს: „თუ არ გიმუშავნიათ ძველ პირობებში, დათხოვნილი იქნებითო" ამ მუქარამ ვერ გასჭრა გაფიცულებზე, ამიტომ გაბრაზებულმა ხაზეინებმა, მიმართეს პოლიციას ხვეწნა მუდარით და პოლიციამაც დაატყვევა ყველა გაფიცულები. გაფიცულების დაჭერაში უმთავრესი როლი ითამაშეს ბ-ნ მ. გოლდმა და ი. ფ. ფაინგებლატმა.

შემცდარი არიან ბ-ნი ხაზეინები, თუ ფიქრობენ, რომ რამოდენიმე მუშის დატყვევებით იმ მიზეზებსაც სპობენ, რომლითაც გაფიცვაა გამოწვეული.

**საშა შრომისაშვილი.**

## ბათუმის ქრონიკა

—

9 ოქტომბერს ქ. ბათუმში გაირჩა საქმე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ფოთში გაფიცვის შესახებ. საქმეს არჩევდა თფილისის სასამართლო პალატის სესია. ბრალდებულთ: ვ. კ. ერმენკოს, ს. ა. ერემოვს და მ. მარტიროზოვს მიუსაჯეს—პირველს 3 თვით, მხოლოდ დანარჩენთ ორ-ორი თვით ციხეში ჯდომა.

— 8 ოქტომბერს ქალაქის ხმოსანთა კრებაზე მოხდა არჩევნები ბათუმის საქალებო გიმნაზიის სამკრუნველო საბჭოს წევრებისა—მშობლების მხრივ, სამი წლის ვადით. საბჭოს წევრებათ ერთხმათ, კენჭის უყრელათ აირჩიეს ქ-ნები გუბერნატორის მეუღლე ფონ-პარკაუ, ბაურასა, კნ. ს. ნაკაშიძისა, ე. მდივნისა, მ. ელიავასი, ე. ქიქოძისა და ვ. ტრიანდეფილიდისა. აგრეთვე არჩეულ იქნა ერთხმათ, ი. ხუდადოვი და გ. ჟურული. ამათ გარდა კენჭი უყარეს 5 კაცს. აირჩიეს ქალაქის თავი თავ. ანდრონიკოვი, ს. გ. მდივანი, და ნ. ბიალუსკი. ასარჩევათ საკმარისი ხმები ვერ მიიღეს: პ. ზიკოვმა და გ. რაკოვიცამ.

ამის შემდეგ კრება გადავიდა სხვა კითხვებზე; დაადგინეს: ნება მიეცეს სამხედრო უწყებას აგოს სახოლერო ბარაკი იმ ადგილებში, სადაც ქალაქის სახოლერო ბარაკია გამართული.

ამ დღესვე უნდა განეხილათ საფინანსო კომისიის მიერ დამზადებული პროექტი, შესახებ ქ. ბათუმის 1907 წლის შემოსავალ-გასავლისა, რომელშიაც ხსენებულ კომისიის საკუთარი შეხედულება და დასკვნები იქნებოდა მოხსენებული, მაგრამ დაგვიანების გამო, პროექტის განხილვა შემდეგ კრებისთვის გადიდო.

— როგორც ხმა დადის, ბათუმის პოლიცმეისტერის ადგილზე ინიშნება მის უდიდებულესობის კონვოს ესაული პანიკი.

— გუბერნატორის განკარგულებით, 1 ოქტომბრიდან ბათუმის პოლიცმეისტერის დროებით სამსახურის აღმასრულებელი კაპიტანი პერემენინი უკვე შეუდგა თავის პირდაპირ თანამდებობის ასრულებას—პერემენინი ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწეთ ითვლებოდა.

— ბათუმის პოლიცმეისტერის სამსახურის აღმსრულებლათ დაინიშნა ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწეთ ნამყოფი, კაპიტანი აუსტინი, ხოლო, ბათუმის პოლიცმეისტერის თანაშემწეთ ნამყოფი რედკო, დანიშნულია ბათუმის პოლიცმეისტერის სამსახურის დროებით აღმსრულებლათ და ამავე დროს, ამიერ კავკასიის საპოლიციო დარაჯთა აფიცრათაც.

— სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბათუმში ჩამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი გაუსმანი, რომელიც ითვლება სამხედრო საბჭოსთან დაარსებულ, კაზარმების ამშენებელ, უმაღლესათ დამტკიცებულ კომისიის თავმჯდომარეთ. გაუსმანი ეძებს ადგილს, სადაც არდაგანის პოლკისთვის კაზარმებს ააშენებენ.

— როგორც გამოირკვა 1905 წლ. ბათუმში შეიარაღებულ აჯანყების საქმის გარჩევა სამ დღეზე მეტს გასტანს.

## პროვინცია

—

**ს. ასკანა.** ჯერ კიდევ არ გადაგვიხდია ის ვალი, რომელიც ავიღეთ ასკანლებმა ამ დღეებში მოსულ ეკზეკუციის დასაკმაყოფილებლათ (თუმცა ყოველ დღე გვთხოვენ) იმატომ, რომ სოფლელნი უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ. ჯერ მარტო „კანონიერ" გადასახადებს ვერ ვუდივართ და ამ გადასახადებმა მთლათ წელში გაგვწყვიტა. მაშინ როგორც იყო ვისესხეთ 1000 მანეთი, მაგრამ რით უნდა გადვიხადოთ ეს ვალი მანამდი, თუ რამეს ვყიდდით, თორემ საყიდელი ბევრი არაფერი გვქონდა რა, ეხლა მთელი წლის განმავლობაში სიმინდი საყიდელი გვექნება. შარშან ყურძენი მაინც იყო და ამან ცოტათი შემოგვაბრუნა, წელს ესეც გაქრა. სიმინდი რადგანაც ნაგვიანევია (ივნისში დავთესეთ) არ მწიფდება სიცივეების გამო და აი, შიმშილობა გაისათ იქნება უფრო საგრძნობელი, ისეთ კაცს ვერ ნახავ, რომ სიმინდს არ ყიდულობდეს. აი, ასეთ დროს რამდენიმე პირმა ათასი მანეთი შეგვძინა. თითო კომლს ორ-ორი მანეთი მოუწია გადასახდელათ. ნედლს სიმინდს ფეშვნიან გახურებულ ქვაბში ახმობენ, ფქვავენ და სჭამენ და აქაც ჯარიმის ფულს თხოულობენ, რას იზამ?! ყველაფერზე უფრო ის არის სამწუხარო, რომ ასეთი ჯარიმებს და ეკზეკუციებს ხშირათ განგებ იწვევენ ზოგიერთი თავზეთ ხელაღებული კაცები. არის კიდევ აქა-იქ რამოდენიმე პირები, რომელთაც პირზე სულ ხალხი და მათი სამსახური აკერია, მაგრამ ნამდვილათ ზარალის მეტი არაფერი მოაქვთ და ყოველდღე მათი ეგ უტაქტო მოქმედებით ისედაც დაბეჩავებულ ხალხს სულს უხუთავენ. მე არ შევეხები მათ პიროვნებას, დეე, იმათ თითონ ჩაიხედონ თავიანთ გულში, თითონ დააფასონ საითკენ არის მიმართული მათი მოქმედება, და რანაირ დათვურ სამსახურს უწევენ ისინი ხალხს. თითონ შეადარონ თავიანთი მოქმედება მათ სიტყვებს და დროა ანგარიში გაუწიონ თავიანთ თავს. ყველაფერს საზღვარი უდევს და იცოდენ, რომ ერთხელაც არის ხალხის მოთმინების ფიალა აივსება და გვიანღა იქნება თითზე კბენანი. მე ამას იმათ საყურადღებოთ ვამბობ, ვინც სიტყვით ღმერთს თითქო ემსახურებიან, საქმით კი კერას თაყვანს სცემენ.

ძლივს გადაურჩით ერთს ეკზეკუციას და ეხლა მეორეს მოველით: 4 ოქტომბერს ასკანაში მოსე გაგუასს, კალენიკე დოლიძემ სიცოცხლეს გამოასალმა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გლეხი ლევან კალანდაძე. მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ პირადი მტრობაა. ეს კაცები არაფერს აღარ დაეძებენ გარდა იმისა, რომ გაილეშებიან ღვინითა და ათას სისაძაგლეს სჩადიან. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ასეთ ნაძირალების თარეში მხოლოდ ასეთ დროს არის შესაძლებელი, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ხალხი მათ პასუხს მოსთხოვს. რაც შეეხება იმ ცრუ სოციალისტებს, რომლებიც თავის თავს რევოლიუციონერებს უწოდებენ და რომლის—უკაცრავად სიტყვაა—„ორგანიზაციაში" შედიან ახლათ დანიშნული „პანტაუსტ-სტრაჟნიკი" იმათ შესახებაც ვიტყოდი ორ სიტყვას, მაგრამ მათი ორგანიზაციის შემადგენლობა სავსებით ახასიათებს მათ. ხალხი დარწმუნდა იმაში, ვინ ბრძანდებიან ეს ახალი რევოლიუციონერები და ამას თვითონაც კარგათ გრძნობენ, მაგრამ ხალხის დუმილით სარგებლობენ.

თეთრწვერაძე.

—

**ს. ბერეჟოული** (გურია). 5 ოქტომბერს ოზურგეთიდან დაბრუნებული ჩოხატაურში მიმავალი დელიჟანსი რომ დაუახლოვდა მდინარე გუბაზოულს, დილიჟანს თავს დაესხა სამი შეიარაღებული უცნობი და სრულა აუტეხეს. დილიჟანსში სხვათა შორის ისხდენ ჩოხატაურის პოსტის ორი სტრაჟნიკი და მათი ურიადნიკი კუცურა. გავარდა თუ არა თოფი ორი დარაჯი უსულოთ დაეცა, ხოლო მესამე—ურიადნიკი—გაიქცა, მაგრამ მალე ისიც მძიმეთ დასჭრეს. მსუბუქათ დაიჭრა მეეტლე. მგზავრებთაგან არავინ არ დაშავებულა. სტრაჟნიკები ოზურგეთიდან ბრუნდებოდენ და თან სტრაჟნიკების ჯამაგირი მოქონდათ. თავდამსხმელებს ფულისთვის ხელი არ უხლიათ. წაიღეს მხოლოდ ორი თოფი. დასტოვეს აგრეთვე ყუთი პატრონებით, რომელიც დარაჯებს თან მიქონდათ. მცხოვრებლებმა რომ თოფის ხმა გაიგონეს მაშინვე მოგროვდენ; ორი მკვდრებთან დასტოვეს სხვები ბოქაულთან წავიდენ ამბის შესატყობინებლათ. როცა ბოქაული წამოვიდა, სტრაჟნიკები დაწინაურდენ და გზა-გზა სროლა დაიწყეს და მძიმეთ დასჭრეს გზათ მიმავალი—გიორგაძე. მკვდრებთან მდგომი ორი კაცი დოლიძე და მეფარეიშვილი, პირველი დასჭრეს, ხოლო მეორე მოკლეს. ერთი სიტყვით, სტრაჟნიკებმა შური იძიეს. ამავე ნიადაგზე დასჭრეს ჩოხატაურში ბერძენიშვილი. 7 ამ თვეს დანიშნული იყო სამი საზოგადოების ყრილობა სადაც მოვიდა ახალი მაზრის უფროსი ქელბაქიანი, რომელმაც ხალხს წინადადება მისცა კაცები აარჩიეთ მკვლელების მოსანახათაო. ხალხმაც აღუთქვა ზომების მიღება. შეაქცევდენ თუ არა ინგუშები ზურგს მაზრის უფროსს მაშინვე ცემას დაუწყებდენ ხალხს. მაზრის უფროსმა ეს შეამჩნია და უბედურების თავიდან ასაცილებლათ ინგუშები ოზურგეთში წაიყვანა.

თეთრწვერაძე

### რაჟდენ შენგელია.

(ნეკროლოგი)

ვინ იფიქრებდა, რომ რაჟდენ შენგელია, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, ოცდა ორი წლის ყმაწვილი, ასე ადრე შესწყვეტდა მუშათა საქმისთვის მუშაობას! ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა ამისათვის ნიადაგი მოამზადა და სიკვდილმა, ის არ დაინდო. დიდი ხანი არ იყო, რაც რაჟდენი საზოგადო საქმის სამსახურს შეუდგა და ამ ცოტა ხანშიაც მან საკმაო ყურადღება დაიმსახურა თავის ტოლ-ამხანაგებში. როცა შეიგნო რაჟდენმა, თუ რა აუტანელი ხდება მუშებისათვის დღევანდელი ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით მოსამსახურეებისათვის, ხელი ჩაჰკიდა თვითგანვითარებას. მას უნდა გაიგოს, თუ რა ქმნის ასეთ პირობებს და რაა საჭირო, რომ მუშებმა გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება. და როცა მან შეიგნო, ამისათვის საჭიროა მუშების შეერთება და კაპიტალისტების წინააღმდეგ შეერთებული ძალით მოქმედება, მან დაიწყო ამ მიზნით მოსამსახურეებში მუშაობა, შეუდგა კავშირის გამაგრება-გაძლიერებას. რაჟდენი კერძო ინტერესებს საზოგადო ინტერესებზე ცვლის, ამისათვის მას არაფერი არ შურს. რაჟდენი დაუღალავათ მუშაობდა და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა კავშირის ყველა საქმეებში. ბოლოს მოსამსახურეთა კავშირის კონფერენციაზე მთელი დამეების გადათენება და სიცივეები, ვერ გაიტანა მისმა სუსტმა აგებულებამ და ჯერ კიდევ კონფერენცია არ გათავებულიყო, ის გაცივდა, ტიფით ავათ გახდა და ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ კიდევაც გარდაიცვალა. მოსამსახურეთა კავშირს ერთი საუკეთესო წევრი გამოაკლდა. 11 ამ თვეს $4^{1}/_{2}$ საათზე ცხედარი მიხეილის საავათმყოფოდან გამოასვენეს. გამოსვენებას ხალხი ბლომათ დაესწრო. კუბოს ამშვენებდა გვირგვინები: მოსამსახურეთა კავშირის საბჭოდან, 2, თორნის პურის მცხობელ მუშათა პროფესიონალურ კავშირიდან, 3, ლიმონათის ქარხნების მუშათა პროფესიონ. კავშირიდან, 4, ვეტცელის ლუდის ქარხნის მუშებისაგან, 5, სადგურ ალექსანდროპოლის ბუფეტის მოსამსახურეებისაგან, 6, საზაფხულო სკოლის მოსამსახურეებისაგან, 7, 8, 9, პირველი, მეორე და მეოთხე მოსამსახურეთა კავშირის რაიონებიდან, 10, 11, 12, სასტუმრო „ორიანტის", „ანონას" და „ვეტცელის" მოსამსახურეებისაგან, 13, თფილისის სადგურის ბუფეტის მოსამსახურეებისაგან და 14, უმუშევარ მოსამსახურეებისაგან.

კავშირმა, ცხედარი სამშობლოში გაასვენა, რომ იქ მშობლებს უკანასკნელათ უთხრას: სწორეთ ასეთი, საზოგადო საქმისთვის დაუღალავი კაცები, ესაჭიროება დღეს ცხოვრებას; რაჟდენი მკვდარი არ არის. მასი ხსოვნა მუდამ ცოცხალი იქნება თავის ამხანაგებში, მისი მუშათა საქმისთვის თავდადებული მუშაობა სამაგალითო იქნება ჩვენი კავშირის წევრებისათვის. რაჟდენი სატირალი არ არის. სატირალი მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც კერძო ინტერესებს საზოგადო ინტერესებზე მაღლა აყენებენ, საზოგადო საქმის სამსახურს არაფრათ აგდებენ. საუკუნო იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ამხანაგო რაჟდენ!

აპოლონ ჩამწარდაძე.

## რუსეთის ამბები

—

**არეულობა მოსკოვის უნივერსიტეტში.** 9 ოქტომბერს შუადღისას მოსკოვის უნივერსიტეტში ყველასთვის მოულოდნელათ მოხდა სტუდენტების ნებადაურთავი კრება, რომელთაც გაიმართა ამ რიგათ: სტუდენტების ჯგუფმა ჩამოიარა ყველა აუდიტორიები და წინადადება მისცა სტუდენტებს შესწყვიტონ მეცადინეობა და თავი მოიყარონ პირველ აუდიტორიაში მიტინგზე პროტესტის გამოსაცხადებლათ სტუდენტ ბილანოვის და ბრიუნის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელიც გადაწყვეტილი ქონდათ ასეთი სასჯელი მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის ხაზინადარის გაძარცვისათვის. სტუდენტებმა თითქმის ყველგან შესწყვიტეს მეცადინეობა და შეგროვდენ პირველ აუდიტორიაში, რომელიც მთლათ გაივსო. ხელათ არჩეულ იქნა თავმჯდომარე და დაიწყეს ლაპარაკი. ზოგი ამბობდა ბილანოვი უკვე დასაჯესო, ზოგი—ამაღამ დასჯიანო; მაგრამ ყველანი დარწმუნებული იყვნენ ბილანოვი პატიებას ვერ მიიღებდა. კრებაზე მოვიდა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე პროფესორი დავიდოვი და გადაჭრით განაცხადა, რომ ბილანოვი ჯერ არ დაუსჯიათო. მაგრამ ამ განცხადებამ სტუდენტები ვერ დაამშვიდა და მათ ისევ განაგრძეს სიტყვების წარმოთქმა სიკვდილით დასჯის შესახებ. აუდიტორიაში გამოცხადდა პოლიციის აფიცერი და კრებას წინადადება მისცა დაშლილიყო. ამ წინადადებაზე პასუხი იყო სტვენის და უკმაყოფილო ყვირილის ატეხა, რის გამოც პოლიციის მოხელე იძულებული შეიქნა წასულიყო. ნაკლებათ აღმოუჩნდა მომხრე აგრეთვე უნივერსიტეტის ცენტრ. ორგანოს წინადადებას, რომ კრება დაშლილიყო, სანამ პოლიციელები გარეკავდენ მას. აღელვებული სიტყვების წარმოთქმა კვლავ გაგრძელდა. წარდგენილ იქნა რეზოლიუცია: შეწყდეს მეცადინეობა და გაიმართოს ერთი დღის დემონსტრატიული გაფიცვა. როცა რეზოლიუცია მთელი კრების-მიერ უკვე მიღებული იყო, აუდიტორიაში შევიდა რამოდენიმე პოლიციის აფიცერი რამოდენიმე ვინტოვკიანი გოროდოვოის თანხლებით. ზოგი სტუდენტი გაიძახოდა—წავიდეთო, ზოგი—დავრჩეთო, მაგრამ ბოლოს ყველამ წასვლა ამჯობინა და მთელი კრება სამგლოვიარო მარშის მღერით დაიშალა. რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც მღერას განაგრძობდენ, პოლიციამ აუდიტორიიდან გამოსვლის დროს შეიპყრო და თან პატიოსან სიტყვას ჩამოართმევდა—როგორც კი აუდიტორია მთლათ დაიცლება, ამათაც გავუშვებთო. ამის მიუხედავათ, სტუდენტებმა არ მოისურვეს წასვლა და 50-მდე კაცი ნებაყოფლობით შეუერთდა შეპყრობილთ. კარიდორებში და კიბეებზე სიმღერის განგრძობამ გამოიწვია ახალ გოროდოვოების მოსვლა, რომლებიც გარს შემოერტყენ მთელ შენობას. მალე შენობა დაიცალა და სტუდენტები ქუჩა-ქუჩა დადიოდენ ჯგუფ ჯგუფათ, მაგრამ მათზე იერიში მიიტანეს ცხენოსანმა გოროდოვოებმა და ისინი იძულებული იყვნენ აქედანაც წასულიყვნენ. მალე გოროდოვოებმა დაიჭირეს უნივერსიტეტის ეზო და შემდეგ კი ყველა დარბაზები შენობაში. ყველა ჭიშკრები დაკეტეს და პოლიციელები ჩააყენეს. ერთი საათის შემდეგ უნივერსიტეტის ჭიშკრებზე გამოაკრეს რექტორის განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ 9 რიცხვისათვის დანიშნული ყველა კრებები გაუქმებულიაო. სამ საათზე პოლიცია გამოიყვანეს უნივერსიტეტიდან. დატუსაღებულთაგან 8 კაცი, მათ შორის ერთი თავისუფალი მსმენელი ქალი, კოხვოით გადაიყვანეს მანეჟში.

მოსკოვის უნივერსიტეტის არეულობამ გავლენა იქონია სხვა უმაღლეს სასწავლებლებზედაც და მათშიაც გამოიწვია აქა-იქ ლექციების შეწყვეტა. სხვათა შორის, „მეუევოი ინსტიტუტში გაიმართა ნებადაურთველი ყრილობა. როგორც კი პოლიციამ ეს ამბავი გაიგო, მაშინვე ინსტიტუტის წინ დაირაზმა. სასწავლებელში შევიდა ბოქაული და მოითხოვა სტუდენტებისაგან—დაიშალეთ, რადგან კრება ნებადაურთველიაო, სტუდენტებიც მაშინვე დაიშალნენ. არავითარი ინციდენტი და პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარა.

**კრების აკრძალვა ფინლიანდიაში.** პოლიციის დეპარტამენტმა ფინლიანდიის ყველა გუბერნატორებს ცირკულიარი დაუგზავნა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მესამე დუმის გახსნის წინ რევოლიუციონერმა პარტიებმა კრებები გამართონ და ამას წინააღმდეგ ზომები უნდა იქნას მიღებულიო. გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა ფინლიანდიის ყველა ადგილობრივ მთავრობას, არ მოერიდოს არავითარ ღონისძიებას კრებების დასახურავათ. ტერიოკის, კუოკოლოს და საზღვართან მდებარე ყველა სოფლების პოლიციას ბრძანება მიეცა გარეკონ ხოლმე კრებები.

**სფერებში.** პროკურორი კამიშანსკი, რომელსაც აბარია ვიბორგის მოწოდების და სოც.-დემ. ფრაქციის საქმეები, გაზეთების სიტყვით, ინიშნება იუსტიციის მინისტრის ამხანაგათ და იგი მესამე დუმაში გამოვა ხოლმე ამ საქმეებზე ახსნა-განმარტების მისაცემათ, თუ მათ შესახებ შეკითხვა იქნა შეტანილი.

**ფინლიანდიის მუშათა სალამი.** ჰელსინგფორსში მოხდა დიდი მუშათა მიტინგი, რომელზედაც ლაპარაკი იყო ბეჭდვითი სიტყვის და კრების თავისუფლების შესახებ. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია რომლითაც მუშები ძმურ სალამს უგზავნიან რუსეთის პროლეტარიატს და პროტესტს უცხადებენ ფინლიანდიის ბურჟუაზიის მორიგების პოლიტიკას რუსეთის ბიუროკრატიის მიმართ.

**სოც.-დემ. ფრაქციის შესახებ.** გაზეთებში უარყოფენ იმ ცნობას, თითქო სოც.-დემ. ფრაქციის დატუსაღებულ წევრებს პარტიის ც. კ-ტისათვის ეთხოვოთ განმარტება, შეუძლიათ თუ არა მათ მოიწვიონ თავიანთ დამცველებათ ისეთი ვექილები, რომლებიც ს. დ. პარტიას არ ეკუთვნიან. ვექილების მოწვევის შესახებ ფრაქციის წევრებს მართლაც ქონიათ მსჯელობა და დაუდგენიათ—მოიწვიონ მხოლოდ ისეთი ვექილები, რომლებიც საჭიროთ ცნობენ კავშირის დამყარებას დუმასა და დუმის გარეშე მუშაობას შორის.

### წერილი ოდესიდან

—

უკანასკნელი ხანების საშინელმა რეაქციამ, როგორც მოგეხსენებათ, სისტემატიურათ მოსპო ის, რაც რევოლიუციამ ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა. მთავრობას დღითი-დღე მიქონდა ის თავისუფლებები, რომლებსაც თვითონ მან მისცა სანქცია 17 ოქტომბრის მანიფესტით. არ დარჩა არც ერთი კუთხე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებისა, სადაც მას არ მოექნია მისი რეაქციონური ხელი. არ დასტოვა მან აგრეთვე უმაღლესი სკოლა—უნივერსიტეტი „უყყ

რადღებოთ“. მეცნიერების ტაძარს უსაფუძვლოთ წაართვეს თვითგამორკვევას „უფლება წაართვეს თავისუფლება, მას მოსტაცეს ავტონომია! 11 ივლისის განკარგულებით მთავრობამ უნივერსიტეტი ბიუროკრატიას, შეერთებულ მემამულე აზნაურობის წარმომადგენელთ დაუქვემდებარა: მან ამ დღეს პირდაპირ უთხრა პროფესურას და სტუდენტობას: „შენ უსუსური ბავშვი ხარ, შენთვის თავისუფლება ზედმეტია, მე უნდა გავხდე შენი აპეკუნიო!“ ეს ლახვარი იყო სტუდენტობისა და პროგრესიულ პროფესურასათვის. რუსეთის მუდამ ფხიზელი მოსწავლე ახალგაზდობა ახმაურდა, აბობოქრდა! მას შეულახეს თავმოყვარეობა, გასთელეს მისი პიროვნება და ამას შემდეგ რა გასაკვირალია, რომ დღეს მთელი რუსეთის სტუდენტობა მთავრობისთვის შესაფერ პასუხის გასაცემათ ემზადება, შესაფერ ანგარიშის გაწევას აპირებს. უნივერსიტეტებში იმართება კრებები, რომლებზედაც შესაფერ ტაქტიკას იმუშავებენ ავტონომიისთვის საბრძოლველათ. ამ საერთო მოძრაობას არ ჩამორჩა აგრეთვე ადესის სტუდენტობაც, რომლის მოქმედებაც მინდა გავაცნო მკითხველს ამ წერილში. როგორც მოგეხსენებათ, დღეს სტუდენტობა არ წარმოადგენს ერთ მთელს, გამსჭვალულს ერთი აზრებით; მასში მოხდა დიფერენციაცია, დაიყო სხვა და სხვა ფრაქციებათ, რომლებიც ითვისებენ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის „კრედოს“. აქაურ სტუდენტობაში ამ პროცესმა ყველაზე უფრო აშკარათ იჩინა თავი. და აი, სტუდენტობის შეხედულება და დამოკიდებულება 11 ივლისის უქაზზე და მასთან საბრძოლველი საშუალება—ტაქტიკა სხვა და სხვა ნაირა ფრაქციების მიხედვით. სანამ საზოგადო კრება მოხდებოდა, იმართებოდა ფრაქციების კერძო კრებები, სადაც თითოეული ფრაქცია თავის საკუთარ ტაქტიკას იმუშავებდა, რომ საზოგადო კრებაზე მომზადებული გამოსულიყო. აი, საერთო კრებაც მოახლოვდა. კრება გაიმართა კვირას 23 სექტემბერს რექტორის ნებართვით. ამ კრებაზე აშკარათ იჩინა თავი სამმა მიმდინარეობამ: პირველი იმ აზრის იყო, რომ მოეხდინათ საერთო გაფიცვა და ამით დაებრუნებიათ წართმეული უფლებები. ამ მიმდინარეობას ცოტა ყავდა მომხრეები. მეორე—წინაამდეგი იყო გაფიცვის, და ურჩევდა კრებას, რომ 11 ივლისის განკარგულებას ბოიკოტი გამოეცხადოს, და მომხრე იყო ეგრეთ წოდებულის „ძალით წაგლეჯის“ უფლებით (захватное право) მოქმედების. ამ აზრს ადგენ ესერები. მესამე—ლეგალიზაციის მომხრე იყო; ამის მომხრენი ამბობდენ, რომ საჭიროა გამოვიყენოთ ყოველივე ლეგალური საშუალებანი და ამით დავიცოთ უნივერსიტეტი მთავრობის მხრით დახურვისგანო. ამ გზას უმეტესათ სოც.-დემოკრატები ადგენ. მოკლეთ თითოეული მიმდინარეობა თავის აზრს ასე ასაბუთებდა: გაფიცვის მომხრენი და აგრეთვე ესერები ამბობდენ, რომ, თუმცა რეაქცია მძვინვარებს, ხალხს რევოლიუციონური სულის მდგომარეობა არ აქვს, ის ჯერ არ იბრძვის, მაგრამ ახალგაზრდობის, სტუდენტობის მოვალეობაა თვითონ დაიწყოს მოძრაობა, გააღვიძოს ხალხი, როგორც ამას ის ყოველთვის შვრებოდაო (sic!) ეს წმინდა ესერული შეხედულებაა და ამაზე მათ შესაფერი პასუხი გასცეს სოც.-დემოკრატებმა. ეს უკანასკნელები ამტკიცებდენ, რომ დღეს სტუდენტობის, როგორც ასეთის, მოძრაობის ხასიათი შეიცვალა, დღეს სტუდენტობა არ გამოდის, როგორც ერთი პოლიტიკური მთელი, არამედ იმას შეუძლია ქონდეს ერთნაირი პროფესიონალური ინტერესები, და ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ისეთი საბრძოლველი საშვალება გამოვნახოთ, რომ ვმოქმედებდეთ თვით უნივერსიტეტში, მის ფარგლებში და ამას კი სავსებით შეეფერება ლეგალური საშვალებების გამოყენება. წინააღმდეგ ესერებისა, ისინი ამტკიცებდენ, რომ სტუდენტობას არას დროს არ შეუძლია ხალხი გაარევოლიუციონეროს, მოძრაობის პიონერი გახდეს; წინააღმდეგ, სტუდენტობა მაშინ იქნება ძლიერი, როცა თვით ხალხი ახმაურდება, როცა თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომწიფდება ამისთვის პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყოველივე მისი აქტიური მოქმედება მიზანს ვერ მიაღწევს. თუ უნივერსიტეტს ავტონომია მიენიჭა, ეს ისევ პროლეტარიატის უანგრო ბრძოლის შედეგი იყო, ეს რევოლიუციაში ერთ მონაგებთაგანი იყო და არა მარტო სტუდენტობის სუსტი ხმის ნაყოფი. ასე მსჯელობდენ მოკლეთ ს.-დემოკრატები. ისინი გამოდიოდენ ცხოვრების, სინამდვილის ანალიზიდან და ისე იმუშავებდენ თავის ტაქტიკას, ბევრი ცოცხალ კამათის შემდეგ დაისვა კენჭის საყრელათ ესერების და ს.-დემოკრატების რეზოლიუციები (გაფიცვის მომხრეები შეუერთდენ ესერებს). კრებამ მთელ დღეს გასტანა. ფარულ კენჭისყრამ შემდეგი ნაყოფი მოიტანა: ხმის უმეტესობით გავიდა ს.-დემოკრატების პლატფორმა.

ყორა.

## წერილები ავსტრიიდან.

ვენა, 10 ოქტომბერი.

### პარტეიტაგი ვენაში.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

### მოხსენება ცენტრალური კომიტეტის წევრისა.

(გაგრძელება).

პარლამენტში რეფორმა საარჩევნო უფლებებზე უკვე გატარდა; ამ დროს ჩვენ წილათ გვხვდა თითქმის კიდევ უფრო ძნელი საქმის შესრულება: პრივილეგიური პარლამენტი რეფორმის წინააღმდეგ ყოველ ხერხს და თავის ძალღონეს ხმარობდა; ჩვენც მთელი ჩვენი ძალღონე უნდა გვეხმარა, რათა მტერი დაგვემარცხებია, ამ ძნელი საქმის აღსრულება ჩვენ შევსძელით და კომისიაში უკვე გატარებული საარჩევნო უფლებების მრავლობითი პრინციპი, პარლამენტში კვლავ ჩავფუშეთ, გავიმარჯვეთ და მოვიპოვეთ საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლებები.

ამნაირათ, 20 იანვარს, პრივილეგიური პარლამენტი უკვე დათხოვნილ იქნა და ჩვენ საარჩევნო ბრძოლა დავიწყეთ. ძლიერ ძნელ საქმეებს ვსძლიეთ და მომავალშიც უძნელესი საქმე უნდა შეგვესრულებინა; უძნელესი იმისთვის კი არა, რომ ჩვენ ახალი ბრძოლა გვჭირდებოდა, არა, ბრძოლას ნაჩვევი დიდი ხანია ვართ, წინ გვედგა მხოლოდ საქმის ვითარების გამოურკვევლობა. ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა საარჩევნო ბრძოლას: პესიმისტები გაიძახოდენ 20-ის ან 25 ის მანდატის შეძენაზე; ოპტიმისტები კი 50—60-ისას. საარჩევნო ბრძოლის შედეგმა ოპტიმისტების მოლოდინსაც გადააჭარბა: 87-დი მანდატი მივიღეთ. მე კი ვალდებულათ ვრაცხ თავს მოგახსენოთ, რომ ბრძოლის შედეგი უკეთესი იქნებოდა, ორგანიზაციულათ და მატერიალურათ, რომ კარგათ ვყოფილიყავით შეიარაღებული, ზოგიერთ საარჩევნო ოლქებში მოულოდნელათ დავმარცხდით, ზოგიერთ პროვინციებში კი საარჩევნო ბრძოლისთვის, მზათ ქონდათ აუცილებელი ფონდი ჩვენ მოწინააღმდეგეთ. ბრძოლის ველზე გამოვედით და მატერიალური საშუალებანი ხელს გვიშლიდა ბრძოლა განსაზღვრულ შედეგამდის მიგვეყვანა.

პარტიულო ამხანაგებო! დღეიდან ჩემის ფიქრით უნდა ვეცადოთ, როგორც ორგანიზაციების გამრავლება-გაფართოვებას, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების შემოსავლის გადიდებას; საცინათაც შეიძლება ჩვენი აგდება, თუ რომ წარმოვსთქვამთ: „ჩვენს საკმაოთ ძლიერ ორგანიზაციებს—თავის ურიცხვ წევრთა გადასახადით, აუცილებელი ორგანიზაციულ გასავალის დაფარვა არ შეუძლია“. სწორეთ მორალური მხარე იყო უმთავრესი მიზეზი ჩვენი იმ ოლქებში დამარცხებისა, სადაც რომ არ მოველოდით.

რადგანაც შემოსავალ გასავალზე (ბიუჯეტზე მოხსენება დავას გამოიწვევს, უმჯობესია ისევ ამხანაგმა ელენბოგენმა, პარტიულმა კასირმა გააკეთოს მოხსენება. მე კი შემიძლია განვაგრძო ლაპარაკი ჩვენი ორგანიზაციების განვითარებაზე საარჩევნო კამპანიის შემდეგ; ყველამ ვიცით, რომ საარჩევნო უფლებებისთვის ბრძოლას მოჰყვა მთელი რიგი შედეგებისა, თუმცა საქმე იმაშია, როგორ შევანარჩუნოთ პარტიას ბრძოლის ნაყოფი და როგორ უნდა ვისარგებლოთ მითი. ამიტომ მსურს ჩვენი პარტიების რამოდენიმე, სუსტს მხარეზე მიგითითოთ და მით ორგანიზაციების ურთიერთშორის განწყობილებას ნათელი მოვფინოთ. როდესაც, ორმოც, ორმოცდაათ რაიონულ ორგანიზაციებიდან, რომლებშიდაც ურიცხვი მუშა შედის, ვიღებთ ხოლმე მხოლოდ ხუთს ან ექვს მოხსენებას (დაკლადს) ჩვენს მიერ წამოყენებულ კითხვაზე-პასუხით-ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე და შემდეგ დასკვნამდის მივყევართ: „ჩვენ მისთანა ორგანიზაციებიც გვქონია, რომლებსაც არც მოქმედება შეუძლიათ, არც თავიანთი მოვალეობის ასრულება, მხოლოდ იგინი ჩვენი გამოხატულების ფიქციები ყოფილან. სახელდობრ ჩამოთვლა ამ ორგანიზაციებისა საჭიროთ არ მიმაჩნია. მხოლოდ ვიტყვი შემდეგს: როდესაც რომ ერთს რომელიმე ოლქის ორგანიზაციის მოხსენებაში (დაკლადში) ამოვიკითხამთ ხოლმე სიტყვა „დიახ“-ს (დათანხმებითი პასუხს), ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველანი ქუჩების და სახლების ორგანიზაციის წევრები, რომელნიც საოლქო ორგანიზაციებში შედიან გამოუკლებლათ „დიახ“-ის მომხრენი იყვნენ. მაშასადამე, ზოგს შეუძლია დაადგინოს: „არა“.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ პოლიტიკური პარტიების წევრთა რიცხვი ალუნიშნავია, რისიც მიზეზი უხეიროთ შემუშავებული მოხსენებებია (დაკლადების) ერთის მხრით, მეორეს—ადგილობრივი ორგანიზაციების არა-მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება, რის მიზეზითაც ხმების აღრიცხვა დღეს ჩვენ არ ძალგვიძს; მიუხედავათ ამისა, ჩვენ ორგანიზაციებს თვალსაჩინო პროგრესი ეტყობა.

შემდეგ უნდა მოგახსენოთ მთავრობის პოლიტიკურ რეპრესიებზე, თუმცა ავსტრიაში იგი მხოლოდ ოცდა სამი (23 §) პარაგრაფის კანონის დებულების ძალით, პრესის თავისუფლებას ეხება და მის დევნაში გამოიხატება, გარდა ამისა ყველა ჩვენი ორგანიზაციების წევრთა სასჯელის რაოდენობა რომ ავიღოთ ვნახულობთ რომ 1905 წელში ციხეში გაუტარებიათ 16 თვე და სამი დღე*). 1907-ში 34 თვე და 18 დღე; ამ წელშივე სეკრეტებში ყოფნა მიუსაჯეს 21 თვით და 15 დღით. ფულათ დაჯარიმებაც ამაზე მეტჯერ შეხვდა: თუ რომ 1905-ში მხოლოდ 472 კრონათ**) (293 მანეთამდის) ვიყავით დაჯარიმებული, 1907-ში ჯარიმა ზედმეტი გადაგვხდა 3813 კრონი, რამაც საარჩევნო ბრძოლას დიდი ზიანი მისცა. დღემდის ჩვენი პარტიული პრესა საკმაოთ გაიზარდა, თუმცა ორი პარტიული ფურცელი მოგვაკლდა, მაგრამ ეს ჩვენი ორგანიზაციის რეგრესს არ მოასწავებს: ჩვენ პრაქტიკულად უმჯობესათ ვსცანით შეგვეერთებინა ეს ორი ფურცელი უმფრო ძლიერ ფურცლებისთვის. ყოველდღიური ფურცლების რიცხვი იგივე დაგვრჩა, რაც უწინ გვქონდა; სხვადასხვა ფურცლების გამოცემის რიცხვმა (ძლიერ იმატა: 1905 წელში გვქონდა სამი ფურცელი, რომელიც კვირაში ორჯერ გამოდიოდა ეხლა გვაქვს სამი ფურცელი, რომელიც კვირაში სამჯერ გამოდის, გვაქვს აგრეთვე 9 ფურცელი, კვირაში ორჯერ გამოდის და კიდევ ცხრა (9) კვირაში ერთხელ. აქვე ვუმატებთ, რომ გამოცემულ ეგზემპლარების რიცხვმა ზოგიერთს რაიონებში იმატა 2000-დან—3000—4000-დის. ამნაირათ, თუმცა რომ საარჩევნო ბრძოლის დროს ორგანიზაციები და პრესსა გაძლიერდნენ, მეორეს მხრით, ბრძოლის დროსვე დავინახეთ სუსტი და ძლიერი მხარე როგორც ორგანიზაციების, აგრეთვე პრესის. მე მესმის, რომ თქვენ ისევ ცენტრალურ კომიტეტს დასდებთ ბრალს და იტყვით: მათ თავიანთი მოვალეობა ვერ შეასრულეს და აგრეთვე არც მათი ამომრჩევლების და პარტიული ფურცლების სურვილები... ამაზე სწორედ გეთანხმებით, ჩვენ ყველას სურვილების შესრულება არ შეგვეძლო, რადგანაც ფული არ გვქონდა ერთის მხრით მეორეს ზოგიერთს მათ განზრახულებათაგანს პრაქტიკულათ უვარგისად ვსცნობდით—თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ, როგორც პარტიულმა წარმომადგენლებმა—გავაკეთეთ მხოლოთ ის, რისიც გაკეთება შეგვეძლო, ამიტომ ვსთხოვ ჩემს პარტიულ ამხანაგებს: არ მოგვთხოვონ მათ იმის აღსრულება, რისიც არ შეგვეძლია. მზათ ვართ მუდამ მათ მხარი დაუჭიროთ; საქმიანობის მოთხოვნა საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა ჩვენთან ერთათ გამოვნახოთ საშვალებანი ჩვენი აღნიშნული მიზნის მისაღწევათ; გეთანხმებით, რომ პარტიულს წარმომადგენლებს უკეთ ორგანიზაციულათ მოწყობა მოეთხოვებათ, ვიდრე აქნამდის იყვნენ. ეხლა, ჩემის აზრით, სიეზდი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმაზე, რაც შედეგათ მოყვა საარჩევნო უფლებების და ორგანიზაციების ბრძოლას, თუმც ჩვენ არ უნდა გავზარმაცდეთ მით, რომ 87 მანდატი შევიძინეთ, არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ვითომდა ჩვენ თანასწორი უფლებები გვქონდეს მოპოვებული. საარჩევნო ბრძოლა ჩვენგნით მოითხოვს მეტ ენერგიას, მეტ გამბედაობას, რათა ჩვენი იდეები მედგრათ დავიცვათ. ამიტომ ჩვენ შორის, თუ რომ შეთანხმებული მუშაობა იქნება, დამერწმუნეთ, რომ დიდ წარმატებას მივიღებთ, როგორც ორგანიზაციებში, ისე პრესაში და მოძრაობაში, რომ ჩვენ ავსტრიაში შევუდგებით უკეთეს პარტიულ ცხოვრებას; მერწმუნეთ, ვიმეორებთ კიდევ, რომ ცენტრალური კომიტეტი მუდამ იშრომებს მხოლოდ ურთიერთ შორის, თუ რომ თანხმობა იქნება, რითაც უმჯობეს შრომის ნიადაგს მოვიპოვებთ და შევძლებთ ორგანიზაციების უკეთ მოწყობას. (აპლოდისმენტი).

თელანელი.

*) ავტორი თვეობით ღებულობს.
**) კრონა—40 კაპეიკა.

## ახირებული ფურცლის გამო.

ამ დღეებში დაიბეჭდა ერთი „ახირებული ფურცელი“ სათაურით: „მათრახი-რაჭა-ლეჩხუმ და სვანეთ მცხოვრებთ შორის სწავლა-განათლების შემტან ამხ., ნაგლობისა“. ფურცელში ნათქვამია, რომ ზემორეხსენებულ მაზრების მკვიდრნი დროებით თფილისში მყოფნი და მომუშავენი, რიცხვით 85 კაცი და აგრეთვე სხვა გარეშე პირებიც ზიზღსა და სიძულვილს უცხადებენ „ქვეყნის სამარცხვინო შვილს, ნამდვილ ჯაშუშსა და პროვოკატორს და არა პოეტს ეშმაკს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი „საუკეთესო ამხანაგს“, ევგენი დვალს ამცირებს „ეშმაკის მათრახში“ დაცინვით. შემდეგ ფურცელი გვარწმუნებს, რომ ეშმაკი ტყუილს ამბობს, თითქოს ევ. დვალს არვინ იცნობდეს, პირიქით, ევ. დვალი მას შემდეგ რაც განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, „ეკუთვნის რევოლიუციონურ პარტიას“, და სხვა.

ეგრედ წოდებული „რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფი“ ფაქტიურად არსებობს ეს ერთი ხანია, სადაც შედიან ყველა რაჭა-ლეჩხუმის შეგნებული მუშები და ამხანაგები. ჯგუფის მიზანია იდეიური ხელმძღვანელობა. რაჭა-ლეჩხუმისა დღევანდელ მწვავე პირობების მიხედვით მაგრამ ჩვენთვის, უმრავლესობისათვის რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთათვის და თვით ფაქტიურად არსებულ „ჯგუფისათვის“ სწორედ მიუწვდომელია ასეთი ფურცლის მოვლინება. ვიმეორებთ ამ ახირებულ ფურცელს არავითარი კავშირი არა აქვს „რაჭა ლეჩხუმის იმ ჯგუფთან“, რომელიც არსებობს სოც.-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით. ფურცლის ავტორად, საბუთი გვაქვს, ჩავთვალოთ თვით ევგენი დვალი, რომელიც ეს ერთი ხანია „ლიტერატორობს“ და თავის რევენულ ნაჯღაბნებით რყვნის მკითხველთა გემოვნებას. ხსენებული „ჯგუფი“ იმდონად არასოდეს არ დაეცემა, რომ ევ. დვალი „ეშმაკს“ დაუპირდაპიროს და მით უმეტეს „ჯგუფი“ თავის თავს ნებას არ მისცემს, რომ ევგ. დვალის „სამართლიან“ დაცინვისათვას „ეშმაკს“ ჯაშუშპროვოკატორი უწოდოს და თვით ევ. დვალი კი ცნობილ რევოლიუციონერათ მონათლოს.

ჩვენ საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ევგენი დვალი მისი მეტიჩრობისათვის ეს ერთი ხანია გაძევებულ იქნა „რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფიდან“ და მას არავითარი საერთო არა აქვს ჩვენთან.

რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფის გამგეობა

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ამხ. ... ნაშვილს, რომელმაც მოაგროვა ჩემდა სასარგებლოთ 19 მ. 50 კ. მ. მადლობას უძღვნი აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და მით დახმარება აღმომიჩინეს.

გიორგი ფილია.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

## განცხადებანი

### მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

**თფილისიდან მიდის**

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

**თფილისში მოდის**

**ბაქოდგან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 4 ს. (5 ს. 58 წ); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 5 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ)

### ახალი სამოსახლოები

## იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საზურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საჟენამდე, ფულის შეტანა თვე და თვე, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დაღმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

**გამგენი**: სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თორთზოვი და ისააკ ბახტაძე
(10—ფ.—9)

## კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის ხაექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).
ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოთ . 20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება 20 „
კბილის გაწმენდა . . 50 „

არის უფრო ძვირიც:

პლომბა გუდაპერჩისა . . 50 „
„ „ ცემენტისა. . 1 მ.
„ „ მეტალიური . 1 „
„ ვერცხლისა ამალგმა 1 „ 50 „
„ „ ემალისა . . 1 „ 50 „
„ „ ფაიფურისა . 3 „ 50 „

არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:

„ „ წმინდა ოქროსა . 3 „

უფრო ძვირიც.

ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:
„ „ დიოტორიტიული 1 „
„ „ კრამპონისა . 1 50 „
ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით:
„ „ თითო კავი 1 „

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.